საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

20/08/2025

MES 6 25 0000969569

გადაწყვეტილება
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5- ემუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 30 მაისის №604266 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო", "მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)" და "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე სააკრედიტაციო ვიზიტი.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ სსიპ - სოხუმის

სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 06 აგვისტომდე.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო", "მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)" და "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 20 აგვისტოს სხდომის №1004447 ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

კლასტერული რეკომენდაციები:

- აუცილებელია კლასტერში წარმოდგენილი სამივე პროგრამის გადახედვა და პროგრამებში აღმოჩენილი ტექნიკური უზუსტობების გამოსწორება. (2.1)
- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროგრამაში ჩართული პროფესორები იცნობდნენ და იყენებდნენ ელექტრონული სწავლების მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. (2.3)
- რეკომენდებულია საერთაშორისო უნივერსიტეტებთან საგანმანათლებლო პარტნიორობის ქსელის გაფართოება, რაც სტუდენტებს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მეტ შესაძლებლობას მისცემს. (3.1)
- რეკომენდებულია, განათლების ფაკულტეტმა უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოს შიდა დაფინანსება აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო აკადემიური ვიზიტების მხარდასაჭერად. რამდენადაც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები მხოლოდ კონკრეტული თემებით შემოიფარგლება, დაფინანსების შიდა საუნივერსიტეტო რესურსებით გაფართოება ხელს შეუწყობს პერსონალის ჩართულობას საერთაშორისო კონფერენციებსა და სამეცნიერო ქსელებში. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათი პროფესიული განვითარების უწყვეტობასა და აკადემიური გარემოს საერთაშორისო კომპონენტის გაძლიერებას. (4.1)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, პროგრამის დაინტერესებული მხარეებისთვის, ჩაატაროს ცნობიერების ამაღლების აქტივობები , ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფუნქციონირებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის მათი გამოყენების შესახებ. (5.1)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სისტემური ფუნქციონირება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში, რაც მოიცავს პერსონალის ჩართულობას პროგრამის კოორდინატორთან ერთად, და პროგრამების სწავლის შედეგების შეფასებისათვის შემუშავებული გეგმის მკაცრად შესრულებას. (5.1)
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაგეგმოს და განახორციელოს აქტივობები კონკრეტული პროგრამებისთვის შესაბამის დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გასაძლიერებლად, უზრუნველყოს რა რომ ამ დამსაქმებლებს აქვთ კომპეტენცია პროგრამის შინაარსის, სწავლისა და სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებით. (5.3)

- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელოს ყველა საჭირო აქტივობა კვლევის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მათ შორის, ცნობიერების ამაღლების ინიციატივები აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატისა და კვლევის ეთიკის საკითხებზე. (5.3)
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს პროგრამების სისტემატური მონიტორინგი, რაც მოიცავს პროგრამის შინაარსს, სწავლებისა და სწავლის მეთოდებსა და სწავლის შედეგების მიღწევას შორის კორელაციის შესწავლას, ასევე სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისგან შესაბამისი მონაცემების შეგროვებას. (5.3)

ინდივიდუალური რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ზედმეტი ფრაზების შემცირება. ისეთი ფრაზები, როგორიცაა „სწავლების ახალი მეთოდები და მიდგომა არსებული ან ახლად დანერგილი ინოვაციური სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით“ (მიზანი 2), შინაარსობრივად ერთმანეთს იმეორებს. გზავნილის კონსოლიდირება მის გავლენას გაზრდიდა. (1.1)
- სწავლის შედეგები 3 და 4 თითქმის იდენტურია — ორივე შეეხება ცოდნას პროფესიული განვითარებისთვის. რეკომენდებულია მათი გაერთიანება ან დიფერენცირება. მშობლების ჩართულობა, ინკლუზიური განათლება და თანამშრომლობა ნახსენებია მრავალ შედეგში. რეკომენდებულია ამ შედეგების დაჯგუფება ან გამარტივება. (1.2)
- რეკომენდებულია მიზნებში ან კურსებში ცალსახად იყოს მითითებული ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის საჭიროებები ან ინტერნაციონალიზაციის ასპექტები (მაგ., მობილობა, საერთაშორისო თანამშრომლობა). (1.5)
- რეკომენდებულია, სტუდენტების ისეთი კომპეტენციების განვითარება, როგორიცაა რბილი უნარები, მათ შორის კულტურათშორისი კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება და ადაპტირება, რომლებიც მკაფიოდ არ არის ხაზგასმული მიზნებსა თუ კურსებში. (1.5)
- რეკომენდებულია მეთოდოლოგიური კურსების გადახედვა, რომ ინკლუზიური შინაარსი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების მხარდაჭერის პრაქტიკული სტრატეგიები სრულად იყოს ინტეგრირებული. ეს შეიძლება მოიცავდეს პროგრამის ფარგლებში ინკლუზიური განათლებისადმი მიძღვნილ კონკრეტულ მოდულებზე უფრო მეტ აქცენტს ან ასეთი მოდულების დანერგვას. (1.5)
- რეკომენდებულია გადაიხედოს პრაქტიკის პერიოდში სტუდენტების მიერ რეგიონებში პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებული საკითხი და/ან მოწესრიგდეს რეგიონებში პრაქტიკის გავლასა და აკადემიური სასწავლო პროცესის შეთავსების საკითხი. (2.2)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ჩაატაროს პრაქტიკის პროცესის მონიტორინგი, რაც ხელს შეუწყობს სილაბუსის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას და დროული რეაგირების უზრუნველყოფას. (2.2)

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 06 აგვისტოდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 06 აგვისტო.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“

საქართველოს კანონის 24[1]მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე